



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 07.08.2020 წლის №157/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ გეგეშიძე (სტუდენტი)

ფაქტები

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაიმართა სისხლის სამართლის პროცესი, რომელშიც საჩივრის ავტორები მონაწილეობას იღებდნენ მოწმისა და ადვოკატის სტატუსით (საჩივრის ავტორი მოწმე არის დაზარალებულის დედა). საჩივრის ავტორთა განცხადებით, ბრალდებულის ადვოკატმა (შემდგომში-ადვოკატი) მოწმეს სხდომის დაწყებამდე სასამართლო მიმღებში მიმართა აგრესიულად რამდენიმე კითხვით, კერძოდ, გამოკითხა ვინაობა, ჰკითხა იყო თუ არა ბრალდებულის საქმესთან დაკავშირებით გამოცხადებული. საჩივრის ავტორები, აგრეთვე, მიუთითებენ, რომ ადვოკატი უფრო ცინიკური და აგრესიული გახდა, იგი აგდებული ტონითა და „ქუჩური სტილით“ მიმართავდა მოწმეს, რის გამოც მოწმე ცუდად გახდა. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც საჩივრის ავტორმა ადვოკატმა შენიშნა ვითარება, მივიდა ადვოკატთან და მოსთხოვა შეეწყვიტა აგრესიული და მტრული მოქმედებები, რომლის პასუხადაც ადვოკატმა მანდატურს რამდენჯერმე კატეგორიულად მოსთხოვა მისაღებში მყოფი ათობით ადამიანის თანდასწრებით, საჩივრის ავტორი ადვოკატის სასამართლოს მისაღებიდან გაყვანა. კერძოდ, მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატი მას თავს დაესხა და მოუწოდა დროზე გაეყვანათ „ეს ქალი“ სასამართლო შენობიდან. ასევე, ადვოკატი სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს მოწმის შეკითხვებზე პასუხისას იღიმებოდა ირონიულად, იყო ცინიკური და არაკოლეგიალური. ადვოკატის ამგვარმა ქმედებებმა მოწმის დაკითხვაზე იმოქმედა უარყოფითად, რამაც მოწმის დაბნევა და არასრულყოფილი პასუხების გაცემა გამოიწვია. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი ქმედებები არ იყო აგრესიული და არაკოლეგიალური.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორებმა მიმართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვეს ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

(1) დაარღვია თუ არა ადვოკატმა პროცესის მონაწილეთა პატივისცემის ვალდებულება?

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)). ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან.... (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლები 9.1, 9.4). პროცესის მონაწილეთა პატივისცემის პრინციპის განმარტებისათვის გამოყენებულია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც ადვოკატის ვალდებულება-შინარჩუნოს პროფესიული ღირსება ვრცელდება პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირზე. ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს თავი აარილოს იმგვარ ქმედებებს და გამონათქვამებს, რომლებიც ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიას. ადვოკატის პროფესიული ვალდებულების განმარტების შემდეგ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ფასდება ადვოკატის ქმედებები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით-სასამართლო შენობის ვიდეო კამერისა და სხდომის ჩანაწერებით არ დასტურდება ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილის უფლებების შელახვა. ვინაიდან სასამართლო დერეფანში საჩივრის ავტორ მოწმესა და ადვოკატს შორის არსებული დიალოგისას არ დგინდება კომუნიკაციის არადასაშვები ფორმების გამოყენება ადვოკატის მიერ, აღნიშნული ერგება გამომსახურების თავისუფლების ფარგლებს. გარდა ამისა, არ დასტურდება, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატი, როგორც მოწმეს მიმართავდა ისეთი

¹ <https://gba.ge/pdf/6013883955b5d.pdf/157.19%20%20ar%20adgzvra%2007.08.2020.pdf>.

ფრაზებით ან მის მიმართ გამოხატა ისეთი სახის არავერბალური კომუნიკაცია, მათ შორის ქესტიკულაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ემსჯელა ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე უფლებების შელახვის დარღვევის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ადვოკატი ხელს ვერ შეუშლიდა მოწმის სრულფასოვან დაკითხვას. გასათვალისწინებელია, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ყოველთვის წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველს, შესაბამისად, მის მიერ გაჟღერებული პოზიციები, თავისთავად, ვერ იქნება მისაღები მეორე მხარისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოწმის საჩივარზე ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან სახეზე არ გვაქვს ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილეთა პატივისცემის ვალდებულების დარღვევა.

(2) დაარღვია თუ არა ადვოკატმა კოლეგიალობის პრინციპი?

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7). ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1). საპროცესო კოლეგიამ მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატის ქმედების შეფასებამდე განმარტა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ბუნება და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებზე მითითებით ხაზი გაუსვა ამ უკანასკნელის კავშირს კოლეგიალობის პრინციპთან, კერძოდ, ადვოკატი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მოქმედებასაც. თავის მხრივ, კოლეგიალობის პრინციპი კი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას კოლეგების ღირსება და პროფესიული ღირებულებები, შემოიფარგლოს კორექტული გამონათქვამებით. მტკიცებულებების გამოკვლევისას ადვოკატის ფრაზას - „გაიყვანეთ“, რომელიც გაჟღერდა საჩივრის ავტორი ადვოკატის მიმართ, წინ უსწრებდა მათ შორის კონფლიქტი. საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის არ მიუმართავს აგრესიული ტონით ან ისეთი ფრაზით, რომელიც ჩაითვლება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. ზოგადად კი საპროცესო კოლეგია ორივე მხარეს მოუწოდებს ურთიერთპატივისცემის ფარგლებში განახორციელონ პროფესიული საქმიანობა.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ ვლინდება პროცესის მონაწილეთა პატივისცემისა (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 5(გ) მუხლი, ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1. 9.4) და კოლეგიალობის პრინციპების ეთიკის კოდექსი, მუხლები 7, 10.1) დარღვევა.